

# აგეოსფერული ჰაერის ხარისხი





მომზადებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

„წეალი, ქარი და სისუფთავე ჩემი აფთიაქის  
უმთავრესი ინტერენტებია.“

ნატოლეონ ბონაპარტი



თბილისი, 2021

# სარჩევი

## არსებული მდგომარეობა

რა არის ჰაერის დაბინძურება და რა იწვევს მას? .....	5
ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის შემცველობა .....	10
ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ადამიანის კანმრთელობა .....	12
შიდა ჰაერის დაბინძურება და ადამიანის კანმრთელობა .....	16

## მიმღები პოლიტიკა

ჰაერის ხარისხი და კავშირი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან .....	19
ჰაერის დაბინძურებასთან ბრძოლა .....	22
სახელმწიფოს როლი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად .....	24
ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი - air.gov.ge .....	25
ცვლილებები „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონში .....	27
სამრეწველო ემისიების შესახებ კანონი .....	27
ქ.რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა .....	28
ქ.თბილისის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სახელმწიფო პროგრამა .....	30
ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი .....	33

## რეკომენდაციები

ადამიანის როლი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად .....	35
რა შეგვიძლია გავაკეთოთ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად? .....	35
როგორ ავირიდოთ თავიდან/შევამციროთ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მავნე ზემოქმედება ჩვენს კანმრთელობაზე .....	37
როგორ შეგვიძლია დავიცვათ თავი ჰაერის დაბინძურებისგან ფიზიკური აქტივობისას? .....	37
როგორ დავიცვათ თავი შიდა ჰაერის დაბინძურებისგან? .....	38
ხშირად დასმული პითხები .....	39
წყაროები .....	46

# წინასიტყვაობა

ატმოსფერული ჰაერი ბიოსფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მისი მნიშვნელობა დედამიწაზე მცხოვრები ცოცხალი ორგანიზმებისათვის განუზომელია. ინდუსტრიალიზაციის, ენერგორესურსების მოხმარების თუ მოსახლეობის ზრდის შედეგად სულ უფრო იზრდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, შესაბამისად დაბინძურებისგან მიღებული შედეგები ბევრად უფრო თვალსაჩინოა.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხი ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემაა მსოფლიოში. დღემდე ჩატარებული არაერთი ველევა ცხადყოფს, რომ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ადამიანის კანძრთელობისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს და ის ზრდის სხვადასხვა დაავადებათა განვითარების რისკს. კანძრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ურბანულ გარემოში მცხოვრები ყოველი 10 ადამიანიდან 9 დაბინძურებულ ჰაერს სუნთქავს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჰაერის დაბინძურება თითქმის ყველა ქვეყნისთვის გამოწვევაა ([კანძრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2018](#)).

ატმოსფერული ჰაერის ხარისხი ჩვენი ქვეყნისთვისაც ერთ-ერთი მთავარი გარემოს-დაცვითი გამოწვევაა. საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემა ქვეყნის უმსხვილეს ქალაქებში, ასევე მსხვილ სამრეწველო ობიექტებსა თუ სამრეწველო ზონებთან ფიქსირდება.

აღნიშნული საინფორმაციო ბუკლეტი მოკლედ აღწერს საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კუთხით არსებულ მდგომარეობას, ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროებს და დამბინძურებლებს, განიხილავს მთავრობის მხრიდან განხორციელებულ და მიმდინარე პოლიტიკას ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად და, რაც მთავარია, საზოგადოებას სთავაზობს რჩევებსა და რეკომენდაციებს ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად და დაბინძურებული ჰაერისგან თავდასაცავად.

# რა არის ჰაერის დაბინძურება და რა იწვევს მას?

ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება არის აღამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში ნებისმიერი ნივთიერების მოხვედრა/გაფრქვევა (ემისია), რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება, მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა აღამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე.

(საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ”, 1999)

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ხდება როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური წყაროებიდან.

ბუნებრივ ფაქტორებს მიეკუთვნება ქარის შედეგად მოტანილი მტვერი (ძირითადად უდაბნოს ან/და ზღვის მარილი), ტყის ხანძრები, ვულკანური ამოფრქვევები, ქარისმიერი ეროზია, ჭაბებში არსებული მეთანის გაზი, კომეტების, ასტეროიდებისა და მეტეორების შეჭახების შედეგად წარმოშობილი კოსმოსური მტვერი და სხვა.



რაც შეეხება ანთროპოგენურ ფაქტორებს, ჰაერის კონვენცია გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის „UNECE“ (კონვენცია „შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემდეგ ძირითად ანთროპოგენურ წყაროებს გამოყოფს:

- სითბოს და ელექტროენერგიის წარმოება (მაგ: ელექტრო და თბოელექტროსადგურები, საყოფაცხოვრებო სექტორში გათბობად და საჭმლის მომზადება)
- სამრეწველო საქმიანობა (მაგ: საწარმოები, მაღაროები, ნავთობგადამამუშვებელი ქარხები)
- სოფლის მეურნეობა
- მუნიციპალური და სოფლის მეურნეობის წარჩენების განთავსების არეალები და წარჩენების ინსინერაცია/წვა




ათმოსფერული ჰაერის დაბინძურება ურბანულ და სასოფლო  
ტერიტორიებზე გამოწვეულის სხვადასხვა ფაქტორით:



(კანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2018)

საქართველოში ზემოაღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერში ძირითადი მავნე ნივთიერებების გაფრქვევების წილი ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზეა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მონაცემებით მყარი ნაწილაკების (PM) ქვეყნის ჰამური გაფრქვევების დაახლოებით 82% მრეწველობისა და ენერგეტიკის (უმთავრესად სათბობი შემის მოხმარება) დარგებზე მოდის.



საქართველოში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების კუთხით ბუნებრივ წყაროებს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი უკავიათ. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჰარის, არაბეთის ნახევარკუნძულისა და შუა აზიის უდაბნოებიდან პერიოდულად შემოჭრილი უდაბნოს მტვრის მასები, რომელიც ხშირ შემთხვევაში ქვეყნის პრაქტიკულად მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, მათ შორის, თბილისში, რუსთავში და სხვა დიდ ქალაქებში, რომლებშიც ანთროპოგენული წყაროებიდან დაბინძურების დონეც საკმაოდ მაღალია.

## ათმოსფერული ჰაერის ძირითადი დამპინძურებლები:



მიწისპირა  
ოზონი



გოგირდის  
დიოქსიდი



აზოდის  
დიოქსიდი



ნახშირბადის  
მონოქსიდი



მყარი  
ნანილაკები  
(PM10 და  
PM2.5)



### მტვრის მყარი ნანილაკები (PMs)

ქალაქის ქუჩებში სეირნობისას, ჰაერში ალბათ შეგვიმჩნევია ნაცრისფერი ბურუსი, რომელიც ხელს გვიშლის ხედვაში. ეს ბურუსი ჩნდება სწორედ მაშინ, როდესაც ჰაერში მყარი ნანილაკების მაღალი კონცენტრაციაა. ჰაერში არსებული ეს ნანილაკები შეიძლება, წარმოადგენდეს მტვრს ან სხვა სახის მყარ ნანილაკებს, უმცირესი ზომის წვეთების ჩათვლით.

მყარი ნანილაკებით დაბინძურება განსაკუთრებით დიდ საფრთხეს უქმნის ჭანმრთელობას, რადგანაც მათ აქვთ აღამიანების ფილტვებში შეღწევისა და სისხლის ნაკადში გადასვლის უნარი.

მყარი ნანილაკების წარმოქმნის წყარო შეიძლება იყოს სამშენებლო პროცესები, ღია გრუნტი, შეშის ღუმელები, დიზელის ძრავები, ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურები, სამრეწველო ობიექტები, ქარის მიერ მოტანილი უდაბნოს მტვრი. გარდა ამისა, ე.წ. მეორადი მყარი ნანილაკები წარმოქმნება სხვადასხვა დამბინძურებლის ფოტოქიმიური რეაქციის შედეგად. საქართველოსთვის მყარი ნანილაკების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ტრანსსასაზღვრო დაბინძურება. კერძოდ, ე.წ. აფრიკის მტვერი, რომელიც ძირითადად საპარის უდაბნოს მტვრის გავრცელებას უკავშირდება. მსგავსი მტვრის შტორმი ხშირად ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან.

**NO<sub>2</sub>**

## აზოტის დიოქსიდი

მოწითალო-ყავისფერი, მაღალი რეაქციის უნარის მქონე აირი, რომელიც საწვავის წვის შედეგად წარმოიქნება. მისი წარმოშობის უმთავრესი წყაროა ავტომობილების გამონაბოლქვი, ასევე სოფლის მეურნეობის და მრეწველობის სექტორი.

**CO**

## ნახშირბადის მონოქსიდი

უფერო და უსუნო აირი, რომლის წარმოშობის უმთავრესი წყარო ავტომობილების გამონაბოლქვია. ნახშირუანგი ასევე წარმოიქმნება შინამეურნეობაში გათბობის, საკვების მომზადებისა და თბილი წყლისთვის შეშისა და ბუნებრივი აირის მოხმარებისას.

**SO<sub>2</sub>**

## გოგირდის დიოქსიდი

უფერო აირი, რომლის გაფრქვევის მთავარი წყარო თბოელექტროსადგურების მიერ წიაღისეული საწვავის (ქვანახშირი, ნავთობი და ა.შ.) წვაა. გოგირდის დიოქსიდის ემისიის წყაროებია ასევე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, გოგირდმჟავას წარმოება, გოგირდის შემცველი მაღნების დნობა, მრეწველობის სექტორში გოგირდის მაღალი შემცველობის საწვავის წვა. წყლის ორთქლში გახსნისას გოგირდის დიოქსიდი გარდაიქმნება გოგირდმჟავად, რომელიც მუავა წვიმის მთავარი შემადგენელი კომპონენტია. SO<sub>2</sub> ურთიერთებების ჰაერში არსებულ სხვა ნივთიერებებთანაც და მეორად მყარ ნაწილაკებს წარმოქმნის.

**O<sub>3</sub>**

## მიწისპირა ოზონი

მეორადი დამბინძურებელი, რომელიც ჰაერში პირდაპირ არ იფრქვევა და წარმოიქმნება სხვა დამბინძურებლებზე (ძირითადად აზოტის ოქსიდები (NO<sub>x</sub>) და აქროლადი ორგანული ნაერთები (აონ-ები)) მზის ფოტოქიმური რეაქციის გზით. მიწისპირა ოზონის წარმოშობის წყაროა სატრანსპორტო საშუალებების, თბოელექტროსადგურების, სამრეწველო პროცესების, სოფლის მეურნეობისა და სხვა საქმიანობების მიერ მისი პრეკურსორების ემისიები. ადამიანის ჭანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების გარდა, ტროპოსფერული ოზონი კლიმატის ცვლილებაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ერთ-ერთი მთავარი სათბურის აირია.

# პეტრი პავლე მუკის შემცველობა

პავლის ზოგიერთი დამბინძურებელი, მაგალითად, მძიმე ლითონები, ხვდება კვებით ჟაჭვში და შესაძლებელია, ხანგრძლივი დროის შემდეგ ადამიანის ჯანმრთელობაზე იქონიოს მავნე ზეგავლენა. ასეთი მძიმე ლითონია ტყვია.

ტყვია შეიძლება იყოს ჩვენი გარემოს ყველა ნაწილში - პავრში, ნიადაგში, წყალში და ჩვენს სახლებშიც კი. ჩვენზე ტყვიის ზემოქმედება უმთავრესად ადამიანის საქმიანობას უკავშირდება, მაგალითად, როგორიცაა: ნიაღისეული საწვავის გამოყენება, წარსულში ტყვიის შემცველი ბენზინის მოხმარება, ზოგიერთი სახის სამრეწველო ობიექტები, ტყვიაშემცველი საღებავების გამოყენება. ტყვია და ტყვიის ნაერთები გამოიყენება ჩვენ გარშემო არსებულ არაერთ პროდუქტში, მათ შორის, საღებავებში, კერამიკაში, მილებსა და სანტენიკის მასალებში, სარჩილებში, ბენზინში, ლემენტებში, საბრძოლო მასალასა და კოსმეტიკაში. ტყვია გარემოში შეიძლება ხვდებოდეს მისი წარსულში და მიმდინარე გამოყენების შედეგად. ტყვია გარემოში, ასევე, შესაძლებელია გაფრქვეული იყოს სამრეწველო წყაროებიდან და დაბინძურებული ტერიტორიებიდან, მაგალითად როგორიცაა ძველი ტყვიის საღნობები. ნიაღისეულის მოპოვების, დნობისა და ნავთობგადამამუშავებელი ღონისძიებების შედეგად, გარემოში ტყვიის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსაკუთრებით კი წიაღისეულის მოპოვებისა და დნობის ადგილებთან ახლოს. როდესაც პავრში ტყვიის გაფრქვევა ხდება სამრეწველო წყაროებიდან ან სატრანსპორტო საშუალებიდან, გაფრქვეულ ტყვიას შეუძლია გადაადგილდეს დიდ მანძილზე, სანამ მიწაზე დაილექტება, სადაც ერევა ნიადაგის ნაწილაკებს. იმის გათვალისწინებით თუ რა ტიპის ტყვიის ნაერთი და რა ტიპის ნიადაგია, ტყვია შესაძლებელია გადაადგილდეს ნიადაგიდან მიწისქვეშა წყლებში.


ტყვიამ შეიძლება ადამიანის ორგანიზმის თითქმის ყველა ორგანო და სისტემა დააზიანოს. 6 წლის ასაკის და უფრო პატარა ბავშვები ყველაზე მგრძნობიარენი არიან ტყვიის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ეფექტების მიმართ.

ისტორიულად, ტყვიით ატმოსფერული პავლის დაბინძურების ძირითადი წყარო იყო ტყვიის შემცველი ბენზინის გამოყენება, შესაბამისად საწვავის ხარისხის გაუმჯობესება ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია პავლის დაბინძურებისგან დაცვის თვალსაზრისით. ავტომობილის ტექნიკურ გამართულობასთან ერთად, საავტომობილო გამონაბოლქვის სიდიდესა და

ტოქსიკურობაზე უმნიშვნელოვანეს ზეგავლენას ახდენს საწვავის ხარისხი.


მნიშვნელოვანია, რომ ტყვიის შემცველი ბენზინი საქართველოში მრავალი წელია აკრძალულია და ბოლო პერიოდში საწვავის ხარისხი ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად უმჯობესდება. კერძოდ, ქვეყანაში 2017 წლიდან ბენზინის ხარისხი ევრო 5 სტანდარტს უტოლდება. საწვავის ხარისხის სტანდარტის გამკაცრების პარალელურად, გააქტიურდა მისი ნორმასთან შესაბამისობის კონტროლიც.

ბოლო წლებში საწვავის სინკების რეგულარულმა კონტროლის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ტყვიაშემცველი ბენზინის მოხმარების არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ქვეყნის უმსხვილესი ქალაქების ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის კონცენტრაცია ზღვრულ ნიშნულზე გაცილებით დაბალია.



# ათმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობა

ჰაერის დაბინძურება მსოფლიოს მასშტაბით სიკვდილის გამომწვევი რიგით მეოთხე რისკ-ფაქტორია მეტაბოლური რისკების (ჭარბი წონა, სისხლში ქოლესტერინის მაღალი შემცველობა და ა.შ), კვების რეჟიმის დარღვევებისა და თამბაქოს მოხმარების შემდეგ.




(მსოფლიო ბანკი, 2013)

ყოველწლიურად მსოფლიოში ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული დაავადებებით 7 მილიონი ადამიანი იღუპება.

## აგრძელებული და შიდა ჰაერის დაბინძურებების შემთხვევაში დაკავშირებული სიკვერდის შემთხვევაში

ყოველწლიურად ნააღმდეგად 7 მილიონი ადამიანი იღუპება ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული დაავადებით, მათ შორისაა:



(ჟანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2017)

ჰაერის დაბინძურება წებისმიერი ადამიანის ჯანმრთელობაზე ახდენს უარყოფით გავლენას, თუმცა, მის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლაღნი ბავშვები, ქალები და ქუჩაში მომუშავე ადამიანები არიან.

## რომელ ჯგუფებზე ზემოქმედებს ყველაზე მეტად ჰაერის დაბინძურება?

### ბავშვები

ანევარენია 5 წლამდე ასაკის ბავშვების  
სიკვედიდანობის მთავარი მიზანი. ჰაერის  
დაბინძურება კი ანევარენის განვითარების მთავარი  
ასაკ-ვარებოია.

### ქადაგი

გიასახელისები, არადების გირ და აგარების  
სამზარეულოში ღუმედთან.

### გარეთ მომუშავე ადამიანები

ისეთი აკოვესის ადამიანები, რომელთა  
მახარება ეუჩასთან არის დაკავშირებული, რაგა :  
გარემოვაჭრები, მოძრაობის მაჩვენებელები  
ოვიცხები.

(ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2018)

# ჰაერის დაბინძურების გავლენა ბავშვების ჯანმრთელობაზე

გავლენის ჰაერის დაბინძურების უაღიოვითობა ზემოქმედებაში აღხერებს გავლენის განვითარების ან ჯერ კიდევ მეტადყოფნის პერიოდში შესაძლოა გამოიწვიოს:



ჰიდროკონის სახის  
განვითარება



განვითარების და  
მოწოდების  
განვითარება



ანადომის მიზანი  
მოწოდება



სიმინდე  
განვითარება



ზედასასერობისას  
გავლენი  
განვითარების,  
მინდობისა და  
ინსერციის  
განვითარების  
გაზრდის ჩისკი



კიბელის სასახლის  
მდგრადი მდგრადი

## 2016 წელს ეგვიპტეში

### ეს შიდა ჰაერის დაბინძურებისამ გამოიწვია

**543 000**

გადამდებარის შემთხვევა  
5 დღემდე ასაკის ბავშვებში

**52 000**

გადამდებარის შემთხვევა  
5-დან 15 დღემდე ასაკის ბავშვებში



ესაა ეს საშუალოებასავიდია  
ეკუთხები ეგვიპტეში და მია  
ჟამის დაბინძურება ინდენტი  
5 წლებში ასაკის ბავშვები  
მდგრადი ასაირისონი  
შეავადებების 50 %-ზე მეტს.


(ჰანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2017)

ამგვარად, ჰაერის დაბინძურება ჩვენზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში ახდენს უარყოფით ზემოქმედებას და ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სიმწვავის გართულებებს წარმოშობს.


# შიდა ჰაერის დაბინძურება და ადამიანის ჰანმრთელობა

ჰაერის დაბინძურებაზე საუბრისას ძირითადად ატმოსფერულ ჰაერს, მისი დაბინძურების მიზეზებსა და შედეგებს განვიხილავთ, თუმცა შიდა ჰაერის დაბინძურება ადამიანების ჰანმრთელობაზე არანაკლებ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დროის 90%-ს შენობებში ვაჭარებთ.


შიდა ჰაერის ძირითადი დამბინძურებლებია: მტვრის ნაწილაკები (PM), ნახშირჟანგი (CO), ოზონი ( $O_3$ ), აზოტის დიოქსიდი ( $NO_2$ ), გოგირდის დიოქსიდი ( $SO_2$ ), არომატული ნახშირწყალბადები, აქროლადი ორგანული ნაერთები (აონ-ები) და რადონი (Rn). ჰანმრთელობის პრობლემები შეიძლება წარმოიშვას ამ დამბინძურებლების როგორც ხანმოკლე, ისე გრძელვადიანი ზემოქმედების შედეგად.



(ჰანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2018)



ჰანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, წელიწადში დაახლოებით 3,8 მილიონი ადამიანი იღუპება საყოფაცხოვრებო ჰაერის დაბინძურების შედეგად ([ჰანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2018](#)).



## **შიდა ჰაერის გაბინძურების მინიმუმ სამოცი წყარო არსებობს, ამგვარი წყარო შეიძლება იყოს:**

- თამბაქოს წვა;
- სახიფათო ნივთიერებების შემცველი სამშენებლო მასალა;
- საწვავი და ელექტრონერგიის მიღება, რომელიც გამოიყენება გასათბობად, საჭმლის მოსამზადებლად და გასანათებლად;
- ჰესტიციდები და ქიმიკატები, რომლებიც გამოიყენება სახლის დასასუფთავებლად;
- კოღოებისა და მწერების საწინააღმდეგო საშუალებები;
- ოთახის არომატიზატორები;
- ხალიჩები და ავეჯი, რომლებიც წარმოადგენენ იდეალურ ზედაპირს მტვრის დასაგროვებლად;
- სააბაზანოები, რომლებიც ქმნიან სველ, ტენიან გარემოს, რაც ხელს უწყობს ობის წარმოქმნას;
- ვენტილატორები და კონდენციონერები, რომლებიც ფანტავენ მტვერს და აგროვებენ მას საწოლის გადასაფარებლებზე, რბილი ავეჯის ზედაპირებზე, ბალიშებზე და ტანსაცმელზე;
- მიწასთან კონტაქტში მყოფი კარები და ღიობები, რომლებიც შესაძლოა რადონის გავრცელების წყარო გახდეს;

# ჰაერის ხარისხი და კავშირი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან

ჰაერის დაბინძურება საფრთხეს წარმოადგენს მდგრადი განვითარებისთვის, რადგან იგი ერთდროულად გავლენას ახდენს სხვადასხვა სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ კრიტერიუმებზე, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის სამართლიან განვითარებასთან, როგორიცაა ჰანმრთელი ცხოვრება, კვების უსაფრთხოება, გენდერული თანასწორობა, კლიმატის სტაბილურობა და სიღარიბის შემცირება.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის საკითხი პირდაპირ თანკვეთაშია მდგრადი განვითარების მე-3, მე-11 და მე-12 მიზნებთან:



## მიზანი 3: ჰანმრთელობა და კეთილდღეობა

**ამოცანა 3.9** 2030 წლისთვის სახიფათო ქიმიური ნივთიერებებისა და ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების შედეგად სიკვდილიანობისა და ავადმყოფობის შემთხვევათა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება.

**ინდიკატორი 3.9.1** საოჯახო მეურნეობასა და გარემოში ჰაერის დაბინძურების შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი.



## მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება

**ამოცანა 11.6** 2030 წლისთვის დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეობა გარემონტებული უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის, ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით.

**ინდიკატორი 11.6.2** ქალაქებში მცირე ზომის მყარი ნაწილაკების შემცველი შემადგენლობის საშუალო წლიური დონე (მაგ. PM<sub>2.5</sub> და PM<sub>10</sub>) (მოსახლეობაზე შენონილი).

12



## მიზანი 12: გონივრული მოხმარება და წარმოება

**ამოცანა 12.4** ქიმიკატების და ყველა ნარჩენის მართვა საერთაშორისო ჩარჩოების შესაბამისად და მათი ჰაერში, წყალში და ნიადაგში, გამოყოფის შემცირება, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მათი უარყოფითი ზემოქმედება აღამიანის ჭანმრთელობაზე და გარემოზე.

გარდა ჰაერის დაბინძურების უშუალო კავშირისა მდგრადი განვითარების აღნიშნულ სამ მიზანთან, ის სხვა მიზნებთანაც არის ირიბად დაკავშირებული:

1



### მიზანი 1

ჰაერის დაბინძურების შემცირება ხელს უწყობს ოჯახების ჭანმრთელობას, ბოგავს სამედიცინო ხარჯებს და აუმჯობესებს პროდუქტიულობას.

2



### მიზანი 2

ჰაერის დაბინძურებამ შეიძლება გამოიწვიოს მოსავლის დაზიანება და გავლენა მოახდინოს საკვების ხარისხსა და უსაფრთხოებაზე.

7



### მიზანი 7

ელექტროენერგიის მიღება განახლებადი ენერგიისგან, ვიდრე წიაღისეული საწვავისგან გვთავაზობს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ სარგებელს ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად.

**8**

### **მიზანი 8**

ჰაერის დაბინძურება გავლენას ახდენს კანმრთელობაზე, მოსავლიანობაზე, ეკოსისტემებზე, კლიმატის ცვლილებაზე. ატმოსფერული და შიდა ჰაერის დაბინძურება უარყოფით გავლენას ახდენს სამუშაო გარემოზე და მის უსაფრთხოებაზე.

**9**

### **მიზანი 9**

ელექტროენერგიის წარმოებას, მრეწველობას და სატრანსპორტო სექტორს დიდი წვლილი მიუძღვის ჰაერის დაბინძურებაში. ენერგიის მოხმარების შემცირებაზე და მდგრადი და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესებაზე ფოკუსირებამ შესაძლოა თანდათანობით შეამციროს დაბინძურება.

**13**

### **მიზანი 13**

წიაღისეული საწვავის წვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატის ცვლილების პროცესში, რაც რისკის ქვეშ აყენებს საკვების, ჰაერისა და წყლის მარაგს და დიდ საფრთხეს უქმნის აღამიანის კანმრთელობას.

# ჰაერის დაბინძურებასთან ბრძოლა ძალიან კომპლექსური საკითხია და საზოგადოების თითოეული რგოლის აქტიურ ჩართულობას საჭიროებს.

## აღამიანის როლი ჰაერის დაბინძურებასთან ბრძოლაში

პარაგის განვითარებასთან ბრძოლა სხვადასხვა ეონების შესაძლებელი

### ოჯახები კეინივები

საცენტრო მისამიერლად  
თანამდებოვნები დამტკიცების,  
მკოლოვანი სფერო  
მსახურებები დამატებული  
ავტომატიზაციის  
გამოყენება



### მუნიციპალიტეტები



სხვადასხვა  
ინსტიტუტები

### მთავრობა



### გეოგადური საზოგადოება



სკოლები

ჰანდაცვის მუშაკებს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ  
ჰაერის დაბინძურებასთან საბრძოლველად



ინფორმირებობა



პრადგინისა და  
ჯანმრთელობის  
მიზი ზოგადოების  
აღიარება



ოჯახების,  
საზოგადოების,  
კოდეგების,  
გავლენის და  
ასახვაზრდების  
განათლება



საერთო მიმღებების  
მიზანის სხვა  
სამსახურთან,  
აღიინიშვნება და  
გადაწყვეტილის  
მიმღებებთან არმაღების  
დოკუმენტების და გამოსავალის  
გზების აღმოკვეთება



კედება და  
მოწილ  
უარის გავლენება



(ჰაერის მსოფლიო ორგანიზაცია, 2018)

ჰერის დაბინძურების პროცესის მოვარებაში უმთავრესი როლი, რა თქმა უნდა, საერთაშორისო თანამეგობრობას და სახელმწიფოებს აკისრიათ. საერთაშორისო ორგანიზაციებმა თუ ეროვნულმა მთავრობებმა შესაბამისი პოლიტიკის, რეფორმებისა და მდგრადი ინიციატივების განხორციელების გზით წამყვანი როლი უნდა იკისრონ ჰერის დაბინძურებისგან ბრძოლის გზაზე.

## କୁଳବାଲ୍ମୀକିର ପାଦାକରିସ ପଥାବି



(კანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2018)

# სახელმწიფოს როლი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად


საქართველოს უმსხვილეს ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი, კომპლექსური ნაბიჯების გადაღვმა აუცილებელია. ბოლო წლების განმავლობაში, ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში, სახელმწიფო აქტიურად მუშაობს ჰაერის დაბინძურების პრობლემის გადასაჭრელად საჭირო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N1124 განკარგულებით დამტკიცებული 2017-2021 წლების გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა (NEAP-3), რომელიც წარმოადგენს გარემოსა და გარემოს დაცვის სფეროში მთავარ პოლიტიკის დოკუმენტს, მიზნად ისახავს ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიმართულებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სუფთა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ჰაერის უზრუნველყოფას (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2018). აღნიშნული მიზნის შესაბამისად, სამოქმედო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ძირითადი ღონისძიებები:


- მიღებულ იქნა საქართველოს კანონი N5948-სს „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ბენზინის შენახვისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებიდან, აგრეთვე ლაქებისა და საღებავების მოხმარებიდან აონ-ების გაფრქვევების შემცირების მიზნით მომზადდა შესაბამისი რეგულაციები;
- საავტომობილო დიზელის საწვავის ხარისხის სტანდარტი გაუტოლდა EURO 4-ს და გაფართოვდა ქვეყანაში საწვავის ხარისხის სახელმწიფო კონტროლი;
- საავტომობილო ბენზინის საწვავის ხარისხის სტანდარტი გაუტოლდა EURO 5-ს;
- მიღებულ იქნა რეგულაცია მშენებლობის პროცესში უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ზომების შესახებ;
- შემუშავდა „სამრეწველო ემისიების შესახებ“ კანონპროექტი;
- აღდგა ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სისტემა;
- გაფართოვდა ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის ავტომატური ქსელი 5 სადგურით და საქართველოს 25 ქალაქში ტარდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების

- ყოველ კვარტალური ინდიკატორული გაზომვები;
- შემუშავდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ინვენტარიზაციის ანგარიში, რომელიც მოიცავს მონაცემებს 1990 წლიდან 2019 წლამდე. შესაბამისად, გაიზარდა გაფრქვევების ინვენტარიზაციის მასშტაბი და გაუმჯობესდა ხარისხი.
- შემუშავდა გაფრქვევების პროგნოზირების ანგარიში;
- განისაზღვრა ჰაერის ხარისხის შეფასების სტანდარტები, ჰაერის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და მოთხოვნები დაკვირვების პუნქტების რაოდენობის, განლაგების და ფუნქციონირების შესახებ;
- დაინერგა სტაციონარული წყაროებისა და მათი წლიური გაფრქვევების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა ([emoe.gov.ge](http://emoe.gov.ge));
- შეიქმნა ჰაერის ხარისხის პორტალი.

## ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი - [air.gov.ge](http://air.gov.ge)



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა და გარემოს ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჰანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლობით შეიქმნა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი ([air.gov.ge](http://air.gov.ge)), რომლის მიზანია ჰაერის ხარისხთან დაკავშირებული ინფორმაციის ერთიან სივრცეში თავმოყრა, ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობა, ჰაერის ხარისხისა და მონიტორინგის გაუმჯობესების კუთხით ღონისძიებების დაგეგმვის ხელშეწყობა და გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის ხელშეწყობა. პორტალი საზოგადოებას აძლევს საშუალებას უწყვეტ რეჟიმში მათთვის გასაგები ფორმით მიღონ ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ, ასევე შემდეგი სახის ინფორმაცია: დღიური, თვიური და წლიური ანგარიშები, ასევე რეკომენდაციები ჰანმრთელობის დაცვისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ. პორტალი ორენოვანია (ქართული, ინგლისური) და ადაპტირებულია მობილურ პლატფორმისთვის.



ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე არსებული მონაცემები ინტეგრირდა ევროპის გარემოს სააგენტოს (EEA) ჰაერის ხარისხის პორტალთან ([airindex.eea.europa.eu](http://airindex.eea.europa.eu)), რის შედეგადც, [air.gov.ge](http://air.gov.ge)-ზე არსებული მონაცემები ონლაინ რეჟიმში ვრცელდება ევროპის გარემოს სააგენტოს ჰაერის ხარისხის პორტალზე.

## **ცვლილებები „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონზე**

საქართველოს პარლამენტმა „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილების პროექტი მიიღო, რომლის შედეგად, ატმოსფერული ჰაერის დაცვა განხორციელდება ევროპული კონცილის შესაბამისად. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვისა და მონიტორინგის მიზნებისთვის საქართველოს მთელი ტერიტორია დაიყოფა ზონებად და აგლომერაციებად, რაც უზრუნველყოფს თითოეულ მათგანში დაბინძურების შემცირების კონკრეტული ღონისძიებების გატარებას. შემუშავდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმები და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმები იმ ზონებსა და აგლომერაციებში, რომლებშიც ფიქსირდება დაბინძურების პრობლემა ან პრობლემის წარმოქნის რისკი.

კიდევ უფრო გაფართოვდება და გაუმჯობესდება ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემა, კანონით დადგენილი მონიტორინგის ევროპული სტანდარტების შესაბამისად და უფრო მეტად გაუმჯობესდება საზოგადოების ხელმისაწვდომობა ატმოსფერული ჰაერის ხარისხთან და მისი გაუმჯობესების ღონისძიებებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ეხება მოსახლეობის ინფორმირებულობის გაუმჯობესებას. დღეს უკვე საკანონმდებლო დონეზე გაჩნდა მოთხოვნა იმისა, რომ მოსახლეობას უწყვეტად უნდა ჰქონდეს უახლესი და სანდო ინფორმაცია, როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ, ისე მისი გაუმჯობესების გეგმებისა და გატარებული ღონისძიებების თაობაზე.

## **სამრეწველო ემისიების შესახებ კანონი**

კანონპროექტი ეფუძნება „სამრეწველო ემისიების შესახებ“ 2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივას და ადგენს სამრეწველო საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში, წყალში და მიწაში ემისიებთან დაკავშირებულ ახალ სამართლებრივ რეეიმს, მათ შორის, დაბინძურების გამომწვევი სამრეწველო საქმიანობებისთვის ინტეგრირებული წებართვის გაცემის წესს, პირობებს, პირობების შესრულების კონტროლს, სახელმწიფო ორგანოებისა და ფიზიკური/იურიდიული პირების უფლება-მოვალეობებს და სხვა.

## **ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა**

2020 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა 2020-2022 წლებისთვის. გეგმა მიზნად ისახავს ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი, სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან სამინისტროს, სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვადასხვა უწყებების, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის, რუსთავის მუნიციპალიტეტის და სამოქალაქო მორჩაობის - „გავიგუდეთ“ ნარმომადგენლები. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების გეგმის შემუშავების აუცილებლობა განაპირობა ქალაქში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებული მყარი ნაწილაკებით დაბინძურების საკმაოდ მაღალმა მაჩვენებლებმა, რაც უმთავრესად გამოწვეულია რუსთავის სამრეწველო ზონაში განთავსებული ობიექტების საქმიანობით ([საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2020](#)).

სამოქმედო გეგმის შემუშავება დაიწყო 2020 წლის თებერვალში სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომის ფარგლებში. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა ჰაერის დაცვის სფეროში ევროკავშირის ექსპერტთან თანამშრომლობით, რომელმაც სამუშაო ჯგუფს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმების შემუშავების საუკეთესო ევროპული გამოცდილება გაუზიარა.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პირველ ეტაპზე ჩატარდა სიტუაციის ანალიზი, კერძოდ, მოხდა რუსთავის ხარისხის მდომარეობის შესწავლა/შეფასება და ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება. ამის შემდგომ, განისაზღვრა საშუალოვადიან პერიოდში ქ. რუსთავში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისთვის მიმართული ღონისძიებები. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 30 აქტივობა ემსახურება 5 ძირითადი ამოცანის შესრულებას:

1. სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების შემცირება;
2. ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქვის შემცირება;
3. მწვანე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
4. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესება;
5. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების და მასში ჩართული მონაწილეების რაოდენობის გაზრდა;

ზემოხსენებული ამოცანების 30-მდე სხვადასხვა სახის აქტივობის განხორციელებაა დაგეგმილი (ბიუჟეტი 60 მილიონი ლარი), რომელთა დიდი ნაწილის შესრულებაზე მუშაობა პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან უკვე დაწყებულია.



## ქ.თბილისის ათმოსფერული ჰაერის ხარისხის სახელმწიფო პროგრამა

2017 წლის 12 ივნისს საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა ქ.თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ სახელმწიფო პროგრამა. პროგრამით განსაზღვრული ამოცანებისა და გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ვადად განსაზღვრული იყო პროგრამის დამტკიცებიდან 2020 წლის ბოლომდე პერიოდი ([საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2017](#)).

პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოსა და შესაბამისი ვასუხისმგებელი უწყებების მხრიდან არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა, მათ შორის:

- დაინერგა და ამოქმედდა ყველა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების თანამედროვე სისტემა;
- დედაქალაქში განთავსდა ელექტრომობილების სწრაფდამტენი 38 მოწყობილობა;
- 2019 წლის 1 იანვრიდან დიზელის საწვავში გოგირდის შემცველობა 2-ჯერ შემცირდა და ევრო 4-ის სტანდარტს გაუტოლდა, ხოლო 2022 წლის 1 იანვრიდან დიზელის საწვავის დადგენილებით განსაზღვრული ყველა კომპონენტი ევრო 5 ნორმას გაუტოლდება;
- საავტომობილო საწვავის ხარისხის რეგულარული კონტროლის ფარგლებში 2017-2020 წლებში მთელი საქართველოს მასშტაბით აღებულ იქნა 900-მდე სინკი;
- განახლდა დედაქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტი ეკოლოგიურად უფრო სუთთა 680 ავტობუსითა და 300 მიკროავტობუსით;
- მოეწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის სპეციალური სავალი ზოლები, ე.წ ბასლაინები თბილისის 16 ცენტრალურ ქუჩაზე;
- თბილისის 63 ლოკაციაზე ამოქმედდა ზონალურ-საათობრივი ჰარკირების სისტემა;

- მოეწყო და განვითარდა ფეხის მოსიარულეთა გზები კამპი 18კმ, ველობილივები - 19კმ;
- სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით დედაქალაქში აშენდა საგზაო მოძრაობის მართვის ავტომატიზებული სისტემა;
- მართვის მოწმობის საგამოცდო ბილეთებს დაემატა ავტომობილების ეკო-მართვის წესების შესახებ საკითხები;
- გამკაცრდა სანქციები და ზედამხედველობა თბილისში მშენებლობის ან სამშენებლო მასალების გადაზიდვის პროცესში გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესრულებაზე. შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევისთვის შედგა 833 საჭარიმო ქვითარი;
- 2018-2020 წლებში ქ. თბილისის სხვადასხვა ტერიტორიებზე დაირგო სხვადასხვა სახეობის 137 432 ძირი ხე-მცენარე და 795 000 სეზონური ყვავილი. აგრეთვე, მწვანე საფარი მოეწყო კამპი 281 432 მ<sup>2</sup>-ზე;
- დამტკიცდა „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დადგენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“. შედეგად, 2018 წლის 1 აგვისტოდან ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება ევროპული სტანდარტების შესაბამისად ხორციელდება.
- დედაქალაქის 26 ლოკაციაზე წელიწადში 4-ჯერ ტარდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები. შეძენილ იქნა ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მობილური ავტომატური სადგური. შედეგად, განისაზღვრა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინდექსები და გამოვლენილი იქნა საშუალო და მაღალი დაბინძურების მქონე ლოკაციები.



## ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი დაიწყო გასული საუკუნის სამოციანი წლების ბოლოს და დაკვირვება წარმოებდა სტაციონარულ არაავტომატურ სადგურებზე. 2013 წლიდან გარემოს ეროვნულმა სააგენტომ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დაიწყო დაკვირვების ქსელის მოდერნიზაცია. საქართველოში ამოქმედდა პირველი ავტომატური სადგური. 2016 წლიდან რეგიონებში, ისევე როგორც დედაქალაქში, დაიწყო არაავტომატური სადგურების შეცვლა თანამედროვე ავტომატური სადგურებით და ამასთანავე, ახალი სადგურების მონტაჟი. 2016 წელს ქალაქ თბილისში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის 3 ავტომატური სადგური ამოქმედდა. 2017 წელს ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელს ახალი სადგურები ქალაქ ბათუმსა და ქუთაისში დაემატა. 2018 წელს შეძენილი იქნა პირველი მობილური ავტომატური სადგური. 2019 წელს მონიტორინგის ქსელს თბილისსა და რუსთავში კიდევ 2 ახალი სადგური დაემატა.



დღეისთვის საქართველოში უკვე 8 ავტომატური სადგური ფუნქციონირებს, სადაც 24 საათის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი.

გარდა ამისა, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დადგენის მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე 2015 წლიდან წელიწადში ოთხჯერ ტარდება ინდიკატორული გაზომვები. მეთოდოლოგის შესაბამისად გარკვეული პერიოდის (ორი კვირა) განმავლობაში სხვადასხვა დასახლებული პუნქტების წინასწარ შერჩეულ წერტილებში წარმოებს ინდიკატორული მილაკების განთავსება. ხდება სხვადასხვა დამბინძურებლებზე (აზოტისა და გოგირდის დიოქსიდები, ოზონი და ბენზოლი) სინკების აღება, რის შემდეგადაც, მილაკების ანალიზი ტარდება დიდი ბრიტანეთის



აკრედიტირებულ ლაბორატორიაში. მიღებული კონცენტრაციების მნიშვნელობების შეფასება წარმოებს ევროკავშირის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდექსებთან ჰარმონიზებული სისტემით. ინდიკატორული გაზომვები 25 ქაღაში ტარდება და შედეგები განთავსებულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე [air.gov.ge](http://air.gov.ge).

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით შეიმუშავა „ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის განვითარების გეგმა-გზამკვლევი”, რომლის მიხედვითაც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და მართვის მიზნით იგეგმება საქართველოს ტერიტორიის დაყოფა თბილისის აგლომერაციად და 5 ზონად. დაგეგმილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 3 მობილური სადგურის ეტაპობრივად ამოქმედება. შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, 24 საათიანი მონიტორინგი განხორციელდება 27 ლოკაციაზე.

## ადამიანის როლი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა სახელმწიფოსთან ერთად ყველა მოქალაქის ინდივიდუალური პასუხისმგებლობაცაა. თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ქმედებით, ქმედებისგან თავის არიდებითა თუ ქცევის ცვლილებით შეგვიძლია შევიტანოთ ჩვენი მნიშვნელოვანი წვლილი ჰაერის დაბინძურებასთან ბრძოლაში.

## რა შეგვიძლია გავაკეთოთ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად?

1. ვისარგებლოთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ველოსიპედით ან ვიაროთ ფეხით, როდესაც ეს შესაძლებელია. მაქსიმალურად შევამციროთ პირადი ავტომობილით მგზავრობის სიხშირე და არ გამოვიყენოთ ის მოვლე მანძილზე გადასაადგილებლად.

2. ავტომობილის შეძენისას არჩევანი გავაკეთოთ ჰიბრიდულ ან ელექტრონულ ავტომობილებზე.
3. შევამციროთ ენერგიის მოხმარება როგორც სახლში, ისე სამსახურში.
4. ვიზრუნოთ ჩვენი ოჯახის წევრებისა და მეგობრების ცნობიერების ამაღლებაზე.
5. რეგულარულად შევამოწმოთ ჩვენი ავტომობილის ტექნიკური გამართულობა და ხშირად გამოვცვალოთ ჰაერის ფილტრები.
7. მოვიხმაროთ იმ ოქტანობის ბენზინი, რომელიც ჩვენი ავტომობილის ძრავისთვის არის განკუთვნილი.
8. გამოვიყენოთ საწვავი, რომელიც ნაკლებად აბინძურებს გარემოს (მაგ. შეშის, ქვანახშირის ან/და ნავთობპროდუქტების ნაცვლად ბუნებრივი აირი).
9. აუცილებლობის შემთხვევაში გამოვიყენოთ კარგად გამომშრალი შეშა (გასულ წელს დამზადებული).
10. ვმართოთ ავტომობილი ეკო-მართვის წესების დაცვით.
11. გავამწვანოთ ჩვენი სახლის ეზო.
12. არ დავწათ ფოთლები, საყოფაცხოვრებო თუ სხვა ტიპის ნარჩენები!

## როგორ ავიტიფოთ თავიდან/შევამციროთ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მავნე ჩემოქმედება ჩვენს ჯანმრთელობაზე?

- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე - air.gov.ge გავეცნოთ ინფორმაციას ჩვენს ქალაქში ჰაერის დაბინძურების შესახებ. როდესაც დაბინძურების დონე მაღალია, მოვერიდოთ გარეთ ვარჯიშს, ბავშვის გარეთ გასეირნებას და ა.შ.
- შევამციროთ ფიზიკური აქტივობები გადატვირთული გზატვეცილების მიმდებარე ტერიტორიებზე.

## როგორ შეგვიძლია დავიცვათ თავი ჰაერის დაბინძურებისგან ფიზიკური აქტივობისას?

ჰაერის დაბინძურების მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადები მაშინ ვართ, როდესაც ფიზიკური აქტივობებით ვართ დაკავებული, რადგანაც ამ დროს ორგანიზმი უფრო მეტ ჰაერს შეისუნთქავს, ვიდრე ჩვეულებრივ მდგომარეობაში. როდესაც ჰაერის დაბინძურების დონე მაღალია, შევცვალოთ ვარჯიშის ყოველდღიური რეტინა ისე, რომ თავიდან ავირიდოთ დაბინძურებული ჰაერის დიდი რაოდენობით შესუნთქვა:



დავკავდეთ  
ფიზიკური  
აქტივობებით სახლში



ინტენსიური ვარჯიში  
შევცალოთ ნაკლებად  
ინტენსიურით (მაგ: ძუნძულის  
ნაცვლად ვისეირნოთ)



დღის განმავლობაში  
შევამციროთ ფიზიკური  
აქტივობის ხანგრძლივობა


თუ ასთმა გაქვთ, დარწმუნდით, რომ თან გაქვთ თქვენი ინჰალატორი - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გარეთ ხართ.

# როგორ დავიცვათ თავი შიდა ჰაერის დაბინძურებისგან?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შიდა ჰაერის დაბინძურება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე არანაკლებად უარყოფითად მოქმედებს ადამიანების კანძრთელობაზე, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დროის 90%-ს შენობებში ვატარებთ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ჰაერის დაბინძურებას შენობის შიგნითაც ვებრძოლოთ და დავიცვათ რეკომენდაციები შიდა ჰაერის დაბინძურებისგან კანძრთელობის დასაცავად. ინფოგრაფიკის მოცემული 5 რეკომენდაცია სწორედ ამაში დაგვეხმარება.

## 5 მარტივი ნაბიჯი

### შიდა ატმოსფერული ჰაერის გასაუმკობესებლად



გავწინდოთ  
სახლი მთვრისგან  
რეგულარულად



შევცალოთ  
ფილტრები  
ხშირად



გავწინდოთ ჰაერი  
ვენტინალაციის  
ხელშეკრულებით



შევამციროთ  
ტენიანობა



ხშირად გავანიავოთ  
სახლი

## ხშირად დასმული პითხევები



## 1.

### რა არის ჰაერის ხარისხის ინდექსი? (AQI)

ჰაერის ხარისხის ინდექსი არის მაჩვენებელი, რომლის საშუალებითაც ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიაზე ჰაერის ხარისხის მდგომარეობის და ადამიანის ჯანმრთელობაზე მისი ზეგავლენის შესახებ განახლებული ინფორმაცია რეგულარულად (დროის მოკლე პერიოდში: ყოველ დღე, ყოველ საათში) მიეროდება საზოგადოებას. რაც უფრო მაღალია ჰაერის ხარისხის ინდექსი, მით მეტია ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკი.

საქართველოში ჰაერის ხარისხის ინდექსი განისაზღვრება ექვსი ძირითადი დამბინძურებლის მონაცემების გაზომვისას და ასახავს მიმდინარე პერიოდში ჰაერის ხარისხის მდგომარეობას ავტომატური მონიტორინგის თითოეულ სადგურზე.

საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება ჰაერის ხარისხის ინდექსების საშუალებით შესაძლებელია ატმოსფერული ჰაერის პორტალზე - [air.gov.ge](http://air.gov.ge).

## 2.

### რა გავლენას ახდენს ჰაერის დაბინძურება საკვები, მოსავალზე, ფყებისა და ბიომრავალფეროვნებაზე?

მიწისპირა ოზონი ( $O_3$ ) არის მთავარი დამბინძურებელი, რომელიც გავლენას ახდენს მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე. ის ამცირებს მოსავლიანობას, ტყის სიჭანსაღეს და ზოგადად ბიომრავალფეროვნებას. მცენარის სხვადასხვა სახეობას განსხვავებული მგრძნობელობა აქვს  $O_3$ -ის მიმართ. ზოგიერთი კულტურა ძალიან მგრძნობიარება  $O_3$ -ის მიმართ, განსაკუთრებით პარკოსნები. მაგალითად, სოიოს მოსავლიანობა შეიძლება შემცირდეს 15% -ით ან მეტით.  $O_3$ -ის დაბინძურებით გამოწვეული ტყის მასების შემცირება ზღუდავს ტყეების ნახშირორჟანგის შენოვის უნარს და მათ პოტენციალს კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად.

3.

### სუფთა ჰაერი ადამიანის უფლება?

სუფთა ჰაერი ადამიანის კანონიერი უფლებაა. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიხედვით „**ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს კანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში...**”, რაც, რა თქმა უნდა, პირველ რიგში სუფთა ჰაერის გარემოში ცხოვრების უფლებას გულისხმობს.

4.

### არის თუ არა ჰაერის დაბინძურება ახალი გარემოსდაცვითი პროცესი?

ჰაერის დაბინძურება ათასწლეულებია მიმდინარეობს, ჯერ კიდევ მაშინ როცა ცეცხლი გამოიყენებოდა საკვების მოსამზადებლად და სათბობად. თუმცა, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება განსაკუთრებით საშიში გახდა ინდუსტრიული რევოლუციის დროიდან, რადგან წიაღისეული საწვავის მასიურმა გამოყენებამ და მსხვილი სამრეწველო ობიექტების შექმნამ გამოიწვია ატმოსფერული ჰაერის მნიშვნელოვნად დაბინძურება.

5.

### ჰაერის დაბინძურება ადგილობრივი პროცესი?

ჰაერის დაბინძურება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დაბინძურების წყაროსთან მდებარე ადგილებში, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ დამბინძურებლები ატმოსფეროში დიდხანს რჩებიან და მათი გადატანა ჰაერის ნაკადებს შორ მანძილებზე შეუძლიათ, ერთ ადგილზე შექმნილმა ჰაერის დაბინძურებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მისგან ძალიან დაშორებულ ადგილებზეც კი. მაგალითად, ისეთ დამაბინძურებლებს, როგორიცაა მტვრის მყარი ნაწილაკები (PM2.5) და



ობონი (O<sub>3</sub>) შეუძლიათ ასობით ან ათასობით ვილომეტრის გადალახვა, რაც ახდენს გავლენას რეგიონულ და კონტინენტურ დონეზე. სწორედ ტრანსსასაზღვრო დაბინძურება წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას რეგულაციებისა და აღსრულების მიმართულებით. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ფარგლებში 1979 წელს შეიქმნა კონვენცია “შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ”, რომელიც რეგიონული მასშტაბით ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ადგენს კონვრეტულ საერთაშორისო ვალდებულებებს. საქართველო არის აღნიშნული კონვენციის მხარე ქვეყანა ([საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, 2021](#)).

## 6.

### როგორ შეუძლია პერძო სეისმის ჩაირთოს ჰაერის დაბინძურებასთან ბრძოლაში?



კერძო სექტორი და ინდუსტრია გადამწყვეტ როლს ასრულებს ჰაერის დაბინძურების შემცირებაში, რადგან მათი მრავალი საქმიანობა წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ჰაერის დამბინძურებლების გაფრქვევის წყაროს. კერძო სექტორს სხვადასხვა ნაბიჯების გადადგმით შეუძლია ჰაერის დაბინძურების შემცირება:

- ჰაერის ხარისხის საკითხების დამატება სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობებში. რეგულარული ანგარიშგება და მონიტორინგი;
- ცალკეული ობიექტებიდან, წარმოების პროცესებიდან და მიწოდების ჭაჭვებიდან ჰაერის დაბინძურების გამონაბოლქვის დადგენა და რაოდენობების განსაზღვრა;
- თითოეული სექტორისთვის ჰაერის დაბინძურების შემცირების პროგრამების ჩამოყალიბება;
- წარმოების პროცესში საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების დანერგვა;
- ცნობიერების ამაღლების კამპანიების ხელშეწყობა.

7.

## როგორ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ჰაერის ხარისხი და კლიმატის ცვლილება?

ჰაერის ხარისხი და კლიმატის ცვლილება ერთმანეთთან მჯიდროდაა დაკავშირებული. სექტორები, რომლებსაც სათბურის აირების ემისიებმი შეაქვთ ყველაზე დიდი წვლილი, ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვანი წყაროებიცაა და შესაბამისი ძალისხმევით ორივე პრობლემის ერთდროულად მოგვარებაა შესაძლებელი. მაგალითად, წიაღისეული საწვავის მოხმარება, რის შედეგადაც დიდი რაოდენობით  $\text{CO}_2$  გამოიყოფა, ჰაერის დაბინძურებისა და სათბურის აირების გაფრქვევის ერთერთი მთავარი წყაროა. ჰაერის დაბინძურებას ასევე აქვს მოკლევადიანი ეფექტი რეგიონულ კლიმატზე - ისეთი დამბინძურებლები, როგორებიცაა ჭვარტლის ნაწილაკები, მეთანი, მიწისპირა აზონი და მისი პრეცერსორები დიდ როლს თამაშობს დათბობის კუთხით.

თუმცა, კლიმატის ცვლილებასა და ჰაერის დაბინძურებასთან ერთობლივი ბრძოლისას გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: მაშინ, როდესაც სათბურის გაზების ემისიის შემცირებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებასაც, კლიმატის ცვლილების შემარბილებელ ზოგიერთ ღონისძიებას შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდეს ჰაერის ხარისხზე. ამის მაგალითია ბიომასის, ბიოსაწვავისა და დიზელის საწვავის გამოყენების მნიშვნელოვანი ზრდა. ამგვარად, აუცილებელია, რომ კლიმატის ცვლილებასა და ჰაერის დაბინძურებასთან ბრძოლის ღონისძიებები ერთმანეთთან კარგად იყოს შეთანხმებული.

8.

## იწვევს თუ არა ჰაერის დაბინძურება გარემოს სხვა კომპონენტების დეზრადაცია?

ზოგიერთი ჰაერის დამბინძურებელი ნივთიერება იწვევს "მუავურ წვიმებს", პრობლემას, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში 1980-90-იან წლებში. გოგირდის დიოქსიდი ( $\text{SO}_2$ ) და აზოტის ოქსიდები ( $\text{NOx}$ ) რეაგირებენ ატმოსფეროში წყალთან, წარმოქმნიან გოგირდმუავას და აზოტის მუავას, რომლებიც დედამიწაზე ბრუნდებიან, როგორც



„მუავური წვიმა”.

მუავიანობის მომატება უარყოფითად მოქმედებს როგორც მცენარეულ, ისე ცხოველთა სამყაროზე. მათი გავლენით იშლება ფოთლების დამცავი აპკი - ეპიფიტებისი, რაც ზრდის მცენარის დაავადების ალბათობას. შედეგად, მცირდება მცენარის პროდუქტების ასაცირებელობა. გაზრდილი მუავიანობა თევზის პოპულაციის მკვეთრ შემცირებასაც იწვევს. თევზების სახეობათა მხოლოდ მცირე რიცხვს შეუძლია გადარჩეს და გამრავლდეს მუავე არები.

9.

## რამდენად უსაფრთხოა ვარჩიში ჰაერის დაბინძურების პირობებში?



ვარჯიშისას ჰაერის დაბინძურების უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის ჭანმრთელობაზე იზრდება, რადგანაც ფიზიკური აქტივობის დროს ორგანიზმი ბევრად უფრო მეტ ჰაერს შეისუნთქავს, ვიდრე ჩვეულებრივ მდგომარეობაში. ამიტომაც, აუცილებელია, რომ ვარჯიშის დაწყებამდე ადამიანმა მუდმივად შეამოწმოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დონე და თუ დაბინძურების დონე დასაშვებზე მაღალია, შეცვალოს ვარჯიშის რუტინა: მოერიდოს გზასთან ახლოს ვარჯიშს, დაკავდეს ნაკლებად ინტენსიური ტიპის აქტივობით (მაგ: სირბილის ნაცვლად ისეირნოს და ა.შ), ან სულაც სახლში ივარჯიშოს.

10.

## დღემდე გადაჰყილა თუ არა რომელიმე ქვეყანაში ჰაერის დაბინძურების პოტენციალი?

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემა არცერთ რეგიონში არ არის მოგვარებული, მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირდა ემისიები და დამბინძურებლების კონცენტრაცია ევროპის ბევრ ქვეყანაში, აგრეთვე აშშ-ში, კანადასა და იაპონიაში, დიდ ბრიტანეთში, სადაც მკაცრი პოლიტიკა, რეგულაციები და რეგულარული მონიტორინგის სისტემები იქნა დანერგილი.

ჰაერის დაბინძურებასთან ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული გამოცდილება ქალაქ ლონდონს აქვს, სადაც ჰაერის ხარისხის მდგომარეობა სხვა ქალაქებთან შედარებით ყველაზე ადრე, ჰაერ კიდევ 1900-იან წლებში მნიშვნე-

ლოვნად გაუარესდა. სხვადასხვა სახის პოლიტიკის და ღონისძიებების გატარების შედეგად, ლონდონში მყარი ნაწილაკებით ჰაერის დაბინძურების დონე 1900-2016 წლებში 97%-ით შემცირდა ([University of Oxford, 2017](#)). თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ჰაერის დაბინძურების პრობლემა ამ ქალაქში სრულად მოგვარდა. PM 2.5-ის დონე ლონდონში ჰერ კიდევ მაღალია ჭანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილ სტანდარტთან შედარებით.

ქალაქი მეხიკო ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების კიდევ ერთი ნარმატებული მაგალითია. 1980-იან წლებში ქალაქს ჰაერის მიწისპირა ოზონით ( $O_3$ ) დაბინძურების სერიოზული პრობლემა ჰქონდა. მას შემდეგ, რაც ოზონით დაბინძურებამ 1989 წელს ჰიკს მიაღწია, ამ დაბინძურებლის დონე 1989-2015 წლებში  $\frac{2}{3}$ -ით შემცირდა (თუმცა, დღევანდელი მაჩვენებელი მაინც არ არის ჭანმრთელობისთვის უსაფრთხო) ([Gov.UK, 2021](#)).

ჰაერის გაუმჯობესების ეს ორი და კიდევ სხვა არაერთი მაგალითი გვიჩვენებს, რომ ჰაერის დაბინძურებასთან ნარმატებით ბრძოლა შესაძლებელია და არსებობს სხვადასხვა პოლიტიკა, ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ბევრ ქვეყანაში ჰაერის ხარისხი ეკონომიკური განვითარების და სიმდიდრის ზრდის ჰარალელურად მოხდა, რაც ნიშნავს, რომ ჰაერის დაბინძურების შემცირებაზე ზრუნვა არ აფერხებს ეკონომიკურ ზრდას.



# წყაროები:

- Gov.UK. (2021). Gov.UK. მოპოვებული <https://www.gov.uk/government/statistics/air-quality-statistics>-დან
- University of Oxford. (2017). Our World in Data. მოპოვებული <https://ourworldindata.org/london-air-pollution>-დან
- EMEP Centre on Emission inventories and Projections მოპოვებული <https://www.ceip.at/status-of-reporting-and-review-results/2021-submission>-დან
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. (2021). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. მოპოვებული <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1211833?publication=0>-დან
- მსოფლიო ბანკი. (2013). Cost of Pollution.
- კანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. (2017). World Health Organization. მოპოვებული [https://www.who.int/airpollution/events/conference/AP\\_childrens\\_health\\_a\\_global\\_health\\_emergency.pdf](https://www.who.int/airpollution/events/conference/AP_childrens_health_a_global_health_emergency.pdf)-დან
- კანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. (2018). World Health Organization. მოპოვებული <https://www.who.int/news-item/02-05-2018-9-out-of-10-people-worldwide-breathe-polluted-air-but-more-countries-are-taking-action>-დან
- კანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. (2018). World Health Organization. მოპოვებული <https://www.cca-coalition.org/en/news/world-health-organization-releases-new-global-air-pollution-data>-დან
- კანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. (2018). World Health Organization. მოპოვებული <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/household-air-pollution-and-health>-დან
- კანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. (2018). World Health Organization. მოპოვებული [https://www.who.int/ceh/publications/Social\\_Media\\_Toolkit\\_AirPollution\\_Chidren\\_Health\\_Report\\_Launch.pdf](https://www.who.int/ceh/publications/Social_Media_Toolkit_AirPollution_Chidren_Health_Report_Launch.pdf)-დან
- კანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. (2018). World HEalth Organization. მოპოვებული <https://www.who.int/news-item/02-05-2018-9-out-of-10-people-worldwide-breathe-polluted-air-but-more-countries-are-taking-action>-დან
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო . (2018). საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა.
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2020). ქ.რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა. მოპოვებული <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/27987>-დან
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2017). ქ.თბილისის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სახელმწიფო პროგრამა. მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3749969?publication=0> -დან

## **პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:**

ნოე მეგრელიშვილი - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის სამმართველოს ხელმძღვანელი

ნელი კორვოტაძე - სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

მარინა არაბიძე - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი

დიმიტრი გარემონტავაძე:

თამარ გორგაძე - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი

## **პუბლიკაციის მომზადების პროცესს ხელმძღვანელობდნენ:**

თამარ ალადაშვილი - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი

ევატერინე ბენდელიანი - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის მოადგილე

პუბლიკაცია ელექტრონულად ხელმისაწვდომია:

[elibrary.mepa.gov.ge](http://elibrary.mepa.gov.ge)

[iec.gov.ge](http://iec.gov.ge)



-  გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
-  <http://eiec.gov.ge>
-  info@eiec.gov.ge
-  +995 32 2 11 20 23
-  თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. 6

